



8492/3-62/22
14-09-2022

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს

ბატონ ვახტანგ გომელაურს

ბატონო ვახტანგ,

გთხოვთ, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილის საფუძველზე მომაწოდოთ ინფორმაცია შემდეგ საკითხზე:

სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებში, ქვემოთ ჩამოთვლილი ადამიანების მიერ სხვადასხვა დროს გაჟღერდა ინფორმაცია, რომ ისინი საქართველოში არ შემოუშვეს მათი რუსეთის ხელისუფლების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების გამო, რადგან სხვა საფუძველი საქართველოში არ შემოშვების მათთვის არავის განუმარტავს და ფორმალური მიზეზებით ეთქვათ უარი.

გთხოვთ, გვაცნობოთ რამდენად შეესაბამება სიმართლეს მსგავსი განცხადებები და მათი საქართველოში არ შემოშვების რა კანონიერი საფუძვლები არსებობდა.

აქვე გიგზავნით ამ ადამიანების სიას:

1. რუსი ქველმოქმედი დმიტრი ალექსოვსკი - ერევანში იყო, საქართველოში კი აღარ შემოუშვეს და ერევნის რეისით გააბრუნეს;
2. რუსი ფოტოჟურნალისტი ვასილი კრესტიანინოვი - საზღვრის კვეთაზე უარი, ყოველგვარი განმარტებების გარეშე, ორჯერ უთხრეს - პირველად 23 აგვისტოს, მეორედ - 3 სექტემბერს;
3. რუსეთის მოქალაქე, „დოჟდის“ ჟურნალისტი მიხაილ ფიშმანი - 5 მარტს საზღვრიდან გააბრუნეს;
4. რუსი ბლოგერი ალექსეი რომანოვი - ივლისში სომხეთიდან საქართველოში მომავალი არ შემოუშვეს;
5. „მედიაზონის“ პეტერბურგელი ჟურნალისტი და ფოტოკორესპონდენტი დავიდ ფრენკელი - მარტში არ შემოუშვეს;
6. რუსი კომიკოსი, გარიკ ოგანისიანი - იგი საქართველოში სომხეთიდან ცდილობდა შემოსვლას;
7. Pussy Riot-ის წევრი ოლგა ბორისოვა - 20 ივნისს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში უთხრეს უარი შემოსვლაზე;
8. რუსი ბლოგერი, ინსა ლანდერი - იგი დღეების განმავლობაში იყო დაყოვნებული რუსეთ - საქართველოს საზღვრის ლარსის მონაკვეთზე, ნეიტრალურ ზონაში.

გთხოვთ, ჩემს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია მომწოდოთ საქართველოს
პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ვადებში.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
პაატა მანჯგალაძე

პ. მანჯგალაძე



8495/3-62/22
14-09-2022

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს

გრიგოლ ლილუაშვილს

ბატონო გრიგოლ,

გთხოვთ, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილის საფუძველზე მომაწოდოთ ინფორმაცია შემდეგ საკითხზე:

სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებში, ქვემოთ ჩამოთვლილი ადამიანების მიერ სხვადასხვა დროს გაჟღერდა ინფორმაცია, რომ ისინი საქართველოში არ შემოუშვეს მათი რუსეთის ხელისუფლების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების გამო, რადგან სხვა საფუძველი საქართველოში არ შემოშვების მათთვის არავის განუმარტავს და ფორმალური მიზეზებით ეთქვათ უარი.

გთხოვთ, გვაცნობოთ რამდენად შეესაბამება სიმართლეს მსგავსი განცხადებები და მათი საქართველოში არ შემოშვების რა კანონიერი საფუძვლები არსებობდა.

აქვე გიგზავნით ამ ადამიანების სიას:

1. რუსი ქველმოქმედი დმიტრი ალექსოვსკი - ერევანში იყო, საქართველოში კი აღარ შემოუშვეს და ერევნის რეისით გააბრუნეს;
2. რუსი ფოტოჟურნალისტი ვასილი კრესტიანინოვი - საზღვრის კვეთაზე უარი, ყოველგვარი განმარტებების გარეშე, ორჯერ უთხრეს - პირველად 23 აგვისტოს, მეორედ - 3 სექტემბერს;
3. რუსეთის მოქალაქე, „დოჟდის“ ჟურნალისტი მიხაილ ფიშმანი - 5 მარტს საზღვრიდან გააბრუნეს;
4. რუსი ბლოგერი ალექსეი რომანოვი - ივლისში სომხეთიდან საქართველოში მომავალი არ შემოუშვეს;
5. „მედიაზონის“ პეტერბურგელი ჟურნალისტი და ფოტოკორესპონდენტი დავიდ ფრენკელი - მარტში არ შემოუშვეს;
6. რუსი კომიკოსი, გარიკ ოგანისიანი - იგი საქართველოში სომხეთიდან ცდილობდა შემოსვლას;
7. Pussy Riot-ის წევრი ოლგა ბორისოვა - 20 ივნისს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში უთხრეს უარი შემოსვლაზე;
8. რუსი ბლოგერი, ინსა ლანდერი - იგი დღეების განმავლობაში იყო დაყოვნებული რუსეთ - საქართველოს საზღვრის ლარსის მონაკვეთზე, ნეიტრალურ ზონაში.

გთხოვთ, ჩემს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია მომწოდოთ საქართველოს
პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ვადებში.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
პაატა მანჯგალაძე

პ. მანჯგალაძე